ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N5

დაბა ქედა 23 ივლისი, 2025 წელი.

სხდომა დაიწყო 11:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ
ჯემალ დავითაძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე- კომისიის წევრი;
ინგა ანანიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნესტან ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

23.07.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
9	ინგა ანანიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.**

მომხსენებელი: შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი რაული ცინცაძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 18 ივლისს საკრებულოში შემოვიდა შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია (განცხადების ნომერი: 13/95251991-95; განცხადების თარიღი 18.07.2025).

შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორმა - რაული ცინცაძემ კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი ინფორმაცია და ისაუბრა გეგმის მიხედვით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა დანიშნულების ტურისტული ლოკაციების, მათ შორის: კვებისა და განთავსების, ასევე ნაკლებად ცნობილი ადგილების პოპულარიზაციას სოციალური მედიის საშუალებით. სხვადასხვა სოციალურ პლატფორმაზე (Tiktok, facebook, instagram და სხვა) 2024 წელს პოპულარიზებისთვის განთავსდა ქედის მუნიციპალიტეტში არსებული 35-მდე ისეთი ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, ჩანჩქერები, კოტეჯები, საოჯახო სასტუმროები, რესტორნები და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს სოციალური აქტივობის ზრდა, კერძოდ, სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტების ნახვადობა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 58 %-ით, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების შესახებ ცნობადობისა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას, რაც შემდგომში, თავის მხრივ, ზრდის ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს.

2024 წლის სექტემბერში შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებითა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით პირველად ქედის მუნიციპალიტეტში ტურიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ფესტივალი „ესტუმრე ქედას“, სადაც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია, რეწვის ნიმუშები და კულინარიული მასტერკლასები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნოემბრის თვეში შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრმა პირველად უზრუნველყო სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ქედაში“-ს ორგანიზება, სადაც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, კულინარიული მასტერკლასი, ჭაჭის გამოხდის იმიტაცია. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სპორტული აქტივობები, ბავშვთა გასართობი სივრცეები, დაჯილდოვდნენ საპატიო ქედელები.

გარდა ამისა, შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი პოპულარიზაციას უწევს ადგილობრივ მეღვინეებს და მხარს უჭერს მათ საქმიანობას. ამ მიზნით 2024 წელსაც, უკვე მეოთხედ გაიმართა „ღვინის ფესტივალი“, რომელიც საზოგადოებაში მაღალი ინტერესითა და მოწონებით გამოირჩევა. აღნიშნავენ, მის ესთეტიურობას და მაღალ დონეზე წარმოჩენას. ფერსტივალის ფარგლებში განხორციელდა ქედის ღვინის მარნებისა და ადგილობრივი მეღვინეების პროდუქციის გამოფენა, გაიმართა

ღვინის საწნახელში დაწურვის იმიტაცია, რაც მიზნად ისახავდა ქედაში შემორჩენილი უნიკალური ვაზის ჯიშების წარმოჩენას და პოპულარიზაციას.

ასევე, 2024 წელს შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი"-ს მიერ ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდის, შიდა ტურიზმის განვითარების, დამწყებ ფოტოგრაფთა წახალისებისა და მოქალაქეთა ხელოვნებით დაინტერესების მიზნით ჩატარდა ფოტო კონკურსი თემაზე - ,,ტურიზმი ქედის მუნიციპალიტეტში", სადაც გამოვლინდა 3 გამარჯვებული, თითოეული მათგანი დაჯილდოვდა დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ორგანიზაცია აქტიურ ადვოკატირებას უწევს სხვადასხვა ტელევიზიებს, სხვადასხვა ტურისტული ობიექტების ინფორმაციის მიწოდების საკითხში, რომელიც მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას ემსახურება. ორგანიზაცია მუდმივად უზრუნველყოფს ტურისტულ და კულტურულ ობიექტებთან მისასვლელი ბილიკების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას. . ასევე, უნდა აღინიშნოს შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის მიერ შექმნილი მოლაშქრეთა კლუბი - „ბედნიერი ბილიკები", რომლის მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ლოკაციების (ჩანჩქერები, ციხეები, საკულტო დანიშნულების ნაგებობები და სხვა) გაცნობა და პოპულარიზაცია, სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა მოქალაქეთა გააქტიურება და მათი ჩართულობა შიდა ტურიზმის განვითარების პროცესში და მოსახლეობაში ტურიზმის სფეროს მიმართ ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით 2024 წელს მოლაშქრეთა კლუბის მიერ განხორციელდა 7 მარტივი ლაშქრობა ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში, ხოლო 5 ლაშქრობა ქედის მუნიციპალიტეტის მთებში ღამისთევით.

შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი აქტიურადაა ჩართული სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების მასშტაბური პროგრამაში. 2024 წელს ორგანიზაციას დასაქმებული ჰყავდა 12 ბენეფიციარი, რომლებიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტურისტულ საქმიანობებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს ადგილზე მისვლით და კმაყოფილებას გამოთქვამს შესრულებული სამუშაოსთვის. ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული, აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელთან ერთად მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის დამატებითი კვლევის პროცესში, რომლის შემდგომ მომზადდა რამდენიმე ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ; სოფელ ზუნდაგაში მოეწყო ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკი. ასევე, სოფელ უჩხითთან, მაჭახელას დაცული ტერიტორიების მიმდებარედ, ე. წ ,,ჩალეწილების" ტერიტორიაზე მოეწყო საპიკნიკე ზონა. „წიგნიერების ცენტრი", რომელიც შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის მმართველობის ქვეშ იმყოფება, 2024 წელსაც დატვირთული რეჟიმით მუშაობდა.

ამ წელსაც აქტიურად მიმდინარეობდა ტრენინგები სხვადასხვა თემაზე. სულ ჩატარდა 50-მდე ტრენინგ-კურსი, ხოლო მსმენელთა რაოდენობა 1 300-მდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის მიერ ორგანიზებული 5 დღიანი ტრენინგი თემაზე: ,,ციფრული მარკეტინგის კურსი", რომლის სამიზნე ჯგუფსაც ტურისტული ბიზნესსუბიექტები წარმოადგენდნენ და რომლის ფარგლებშიც მსენელებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეესწავლათ ციფრული მარკეტინგის ძირითადი პრინციპები და მიღებული ცოდნა შემდგომში დამოუკიდებლად გამოეყენებინათ თავიანთ ბიზნეს საქმიანობაში.

2024 წელს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია აქტიურად მიმდინარეობდა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, აპრილის თვეში ხორვატიაში, ქ. ზაგრებში სოფლის განვითარების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონგრესზე ქედის

მუნიციპალიტეტს პოპულარიზაცია გაუწია ორგანიზაციის დირექტორმა რაულ ცინცაძემ და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა.

რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 524 000.00 ლარს. აქედან სრულად ათვისებულ იქნა ბიუჯეტის 94%. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს დაახლოებით 25 %-ით გაზრდილია შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ავტოსადგომისა და საპირფარეშოებისგან შემოსული საკუთარი შემოსავლები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ 2023 წელთან შედარებით ქედის მუნიციპალიტეტში 2024 წელს საგრძნობლად გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა. ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია, ქედა გახდეს მაღალმთიანი აჭარის ტურისტული ჰაბი და აქ მოსული სტუმარი მაქსიმალურად კმაყოფილი დარჩეს აქ არსებული სხვადასხვა მომსახურებით.

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

შპს ,,ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია“ განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ოთარ ხარაძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნესტან ბერიძე**